საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/5849
04/10/2022

5849-21-2-202210041154

შპს „ფერო ელოის ფროდაქშენის“ დირექტორს
ბატონ გიორგი ლეჟავას

მის: ქ. რუსთავი, ფიროსმანის ქ. N 3-2
ელ. ფოსტა: ni.lezhava@gmail.com

ბატონო გიორგი,

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოდგენილი თქვენი 2022 წლის 22 სექტემბრის N5037 განცხადება, რომელიც ეხება ქ. რუსთავში, ფოლადის სადნობი ინდუქციური ღუმელების მოწყობისა და ექსპლუატაციის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს. გაცნობებთ, რომ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არ არის სრულყოფილად გათვალისწინებული ზემოაღნიშნულ გზშ-ის ანგარიშთან დაკავშირებით სააგენტოს N21/4216 და N21/4379 წერილებში მოცემული საკითხები, მათ შორის:

- გზშ-ის ანგარიშის თანახმად საწარმოს ჩრდილო-დასავლეთით 80 მეტრის დაშორებით არსებულმა შპს „ყაზბეგის“ ლუდის კომბინატმა შეწყვიტა ფუნქციონირება, შესაბამისად მავნე ნივთიერებათა გაბნევა გაანგარიშებულია უახლოესი დასახლებული პუნქტთან მიმართებით, რომელიც საწარმოდან 300 მეტრით არის დაშორებული. თუმცა მონაცემების ელექტრონული გადამოწმებით საწარმოდან 150 მეტში მდებარეობს შპს „პროგრესის“ საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი და შენობა-ნაგებობები, რომელიც ასევე წარმოადგენს კვების მრეწველობის ობიექტს. გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს სრულყოფილი ინფორმაცია საპროექტო ტერიტორიის ახლომდებარე მოქმედი ობიექტების (საწარმოდან 500 მ რადიუსში) და მათი ფუნქციური დატვირთვის შესახებ (მანძილების მითითებით), ხოლო მავნე ნივთიერებების გაბნევის ანგარიში შესრულებული უნდა იყოს საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის N408 დადგენილების შესაბამისად;
- გზშ-ის ანგარიშში შერჩეული ადგილმდებარეობის ალტერნატიული ვარიანტის უპირატესობა დასაბუთებულია ძირითადად უახლოესი მოსახლის მდებარეობის გათვალისწინებით (შერჩეული ვარიანტი 300 მ, ალტერნატიული ვარიანტი 200 მ),

თუმცა ვინაიდან შერჩეული ალტერნატიული ვარიანტიდან 150 მეტრში მდებარეობს კვების მრეწველობის ობიექტი, რომელიც ასევე წარმოადგენს სენსიტიურ ობიექტს გარემოზე ზემოქმედების კუთხით, მნიშვნელოვანია გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი იქნეს საპროექტო ადგილმდებარეობის ალტერნატივების დეტალური (მრავალკრიტერიუმიანი) ანალიზი, შერჩეული ტერიტორიის გარემოსდაცვითი დასაბუთებით;

- გზშ-ის ანგარიშში (დანართი 4. სკოპინგის ეტაპზე საზოგადოების ინფორმირებისა და მათ მიერ წარმოდგენილი მოსაზრებებისა და შენიშვნების შეფასება; თავი N14 - სკოპინგის ეტაპზე საზოგადოების ინფორმირებისა და მათ მიერ წარმოდგენილი მოსაზრებებისა და შენიშვნების შეფასება) აღნიშნულია, რომ საჯარო განხილვის პერიოდში პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოთქმულა, ასევე აღნიშნულია, რომ სკოპინგის ეტაპზე გამოვლინდა მოსახლეობის დაინტერესება დასაქმების თვალსაზრისით და შესაბამისად ყოველგვარი დასაბუთებისა და არგუმენტაციის გარეშე გაკეთებულია დასკვნა, რომ „სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის თანამედროვე ეტაპზე მოსახლეობისათვის დასაქმების პრობლემების გადაწყვეტა უფრო პრიორიტეტულია, ვიდრე გარემოსდაცვითი ღონისძიებების უზრუნველყოფა". რამდენადაც თქვენთვის ცნობილია, საჯარო განხილვაზე შენიშვნები/მოსაზრებები დააფიქსირეს სამოქალაქო მოძრაობა - ,,გავიგუდეს" წარმომადგენლებმა, რომელიც ძირითადად ეხებოდა: კუმულაციურ ზემოქმედებას, წიდის მართვის საკითხებს, ჯართის ჭრის პროცესს, ალტერნატიული ტერიტორიების შერჩევის სათანადო დასაბუთებას, ჰაერგამწოვი სისტემის დამონტაჟების საკითხებს, ნარჩენების მართვის გეგმას, სანიაღვრე წყლების მართვასა და სატრანსპორტო მოძრაობის გეგმას. საჯარო განხილვაზე გამოთქმული შენიშვნები/მოსაზრებები სამოქალაქო მოძრაობა ,,გავიგუდეს" მიერ, სამინისტროში წარმოდგენილი იქნა ასევე წერილობითი სახით. აღნიშნული ინფორმაცია მოცემულია ქ. რუსთავში, შპს „ფერო ელოის ფროდაქშენის" ფოლადის სადნობი ინდუქციური ღუმელების მოწყობასა და ექსპლუატაციაზე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მიერ გაცემულ სკოპინგის დასკვნაში. შესაბამისად აღნიშნული ჩანაწერი საჭიროებს კორექტირებას;
- გზშ-ის ანგარიშში აღნიშნულია, რომ მთელი საწარმოო პროცესი განხორციელდება დახურულ შენობაში, რომლის იატაკი მობეტონებულია, თუმცა გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი საწარმოს გეგმის მიხედვით ჯართის დამუშავების და წიდის დასაწყობების უბანი მდებარეობს შენობის გარეთ. გზშ-ის ანგარიშში არ არის მოცემული წიდის დასაწყობების უბნისა და რკინის ჯართის დასაწყობების და დამუშავების (დაჭრის) მოედნის მობეტონების შესახებ ინფორმაცია, ასევე დაზუსტებას საჭიროებს იქნება თუ არა შენობა ოთხივე მხრიდან დახურული, თუ ღია სივრცეში განხორციელდება ჯართის დამუშავების პროცესი;
- გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს პროექტის ფარგლებში ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება, ხმაურის თითოეული წყაროს ხმაურის დონის მითითებით და გენ-გეგმაზე დატანით;
- გზშ-ის ანგარიშში არ არის წარმოდგენილი (რკინის ჯართი) ნარჩენების დამუშავების აღდგენის ან განთავსების ოპერაციების კოდები და აღწერილობა, ,,ნარჩენების მართვის კოდექსის" I ან II დანართის შესაბამისად;

- გზშ-ის ანგარიშში მოცემულია გზშ–ის ანგარიშის მომზადებაში მონაწილეთა სია, მათ შორის შპს „ზეციხელი 2010“-ის დირექტორი, თუმცა არ არის ხელმოწერილი აღნიშნული პირის მიერ. გაცნობებთ, რომ „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, გზშ-ის ანგარიში ხელმოწერილი უნდა იყოს მის მომზადებაში მონაწილე პირის/პირების მიერ, მათ შორის, კონსულტანტის მიერ (მისი არსებობის შემთხვევაში);
- გზშ-ის ანგარიშში არ არის წარმოდგენილი ნედლეულის/პროდუქციის ტრანსპორტირების გეგმა-გრაფიკთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტთან კომუნიკაციის ამსახველი ინფორმაცია/დოკუმენტაცია;
- გზშ-ის ანგარიშში აღნიშნულია, რომ შპს “ფერო ელოის ფროდაქშენს” ქალაქ რუსთავში, გააჩნია ფეროშენადნობთა ქარხანა, სადაც ასევე დაგეგმილია ფოლადსადნობი ინდუქციური ღუმელის მოწყობა, თუმცა სააგენტოში წარმოდგენილია აღნიშნული ფეროშენადნობთა ქარხნის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გზშ-ის ანგარიში, აღნიშნულ ანგარიშში ინდუქციური ღუმელების მოწყობა გათვალისწინებული არ არის;
- გზშ-ის ანგარიშის თანახმად სანიაღვრე წყლები მოხვდება ქ. რუსთავის სანიაღვრე სისტემებში, შესაბამისად წარმოდგენილი უნდა იყოს სანიაღვრე არხის მფლობელთან შეთანხმების შესახებ ინფორმაცია.

სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს ზემოაღნიშნული შენიშვნების/საკითხების გათვალისწინებით „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ განსაზღვრული სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო